













**ბაშკირული ეპოსი აფხაზურად**

ბაშკირეთის ხალხური ეპოსი "ურალ-ბატირი" აფხაზურ ენაზე ცნობილმა აფხაზმა პოეტმა და მთარგმნელმა მუშნი ლასურიამ თარგმნა.

მუშნი ლასურიამ დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, შემდეგ მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა; არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი; 1967 წლიდან საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრია; 1970-80 წლებში კი აფხაზეთის მწერალთა კავშირის მმართველობის თავმჯდომარედ აირჩიეს; ამჟამად ხელმძღვანელობს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის განყოფილებას. იგი არის 15-ზე მეტი პოეტური კრებულის ავტორი, დაკავებული იყო მთარგმნელობითი საქმიანობით. გადათარგმნა პუშკინის "ევგენი ონეგინი", ასევე მიხეილ ლერმონტოვის, შოთა რუსთაველის, ჯორჯ ბაირონის და შანდორ პეტეფის ნაწარმოებები.

მუშნი ლასურია არის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.მას აფხაზური კულტურის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის - პირველმა შეადგინა "მე-20 საუკუნის აფხაზური პოეზიის ანთოლოგია". ეს ორტომეული მოსკოვში, 2001 წელს აფხაზურ ენაზე გამოიცა.

**ქართული კულტურის დეკადა ნიუ-იორკში**

საქართველოს ხელისუფლებამ ნიუ-იორკის კომპანია "ლიგ არტისტ ინტერტიმენტისა" და შპს "ისტერნ პრომოუშენისგან" მიიღო წინადადება იანვარში, ნიუ-იორკში ქართული კულტურის დეკადის მოწყობასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას კულტურის დეკადის მოსამზადებლად სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც თავად უხელმძღვანელებს. კომისიის შემადგენლობაში შევიდენ - კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადგიშვილი, თბილისის მერიის საკონცერტო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე, "ისტერნ პრომოუშენის" დირექტორი მიხეილ გიორგაძე, ხალხური რენესის ნიმუშების მუზეუმის დირექტორი გიორგი ვაჩნაძე, ბიზნესმენები ბადრი პატარკაციშვილი, ნიკო ლეკიშვილი და სხვ.

**„სუბივილები“ ამერიკაში გაემგზავრნენ**

8 დეკემბრამდე ილიკო სუბივილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საგასტროლო ტურნეს გამართავს.

2 საათიანი საკონცერტო პროგრამით სუბივილები ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში 84 კონცერტს გამართავენ. ამის შემდეგ დასს თბილისში 10 კონცერტი აქვს დაგეგმილი. მორიგ ტურნეს კი "სუბივილები" ავსტრალიაში გეგმავენ.

(კავკას-პრესი)

**ქართული პანტომიმის თეატრი საპრიზო ადგილებისთვის ემზადება**

თბილისის პანტომიმის თეატრი მიემგზავრება ბელარუსში, სადაც პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. ქართული თეატრი ფესტივალზე მხოლოდ ერთ სპექტაკლს, „კრიმანჭულს“ წარმოადგენს.

ფესტივალში, რომელიც ქალაქ გომელში გაიმართება, ევროპის 25 ქვეყნის თეატრალური დასი მიიღებს მონაწილეობას. ამირან შალიკაშვილის თქმით, ქართული პანტომიმის თეატრი ღირსეულად წარდგება მაყურებლის წინაშე და საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს. თეატრის ფესტივალზე წასვლას თბილისის მერია აფინანსებს. პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალი ბელარუსში 16 სექტემბერიდან ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

**„რუსთავი“ გასტროლებზე მიემგზავრება**

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ საგალობლების საერთაშორისო ფესტივალისთვის ემზადება. ფესტივალი სექტემბრის ბოლოს ესტონეთში, ტალინში გაიმართება.

ანსამბლი ესტონეთის რამდენიმე მართლმადიდებლურ ეკლესიაში ქართულ საგალობლებს შესრულებს. ესტონეთიდან დაბრუნების შემდეგ „რუსთავი“ დიდ ბრიტანეთში გამგზავრებას აპირებს, სადაც „ქართული სუფრის დღესასწაულში“ მიიღებს მონაწილეობას. დღესასწაული დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს დახმარებით გაიმართება. ლონსონის ფარგლებში ქართველი მზარეულები ბრიტანელებს ქართულ სამზარეულოსაც გააცნობენ.

(მედია-ნიუსი)



სახელწოდებანი ქავერი

M-07

